საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1805 2012 წლის 26 სექტემბერი ქ. თბილისი

საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეთ უფლება შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომ საკომუნიკაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თუ ეს მომსახურება მოიცავს:

ა) ქვეკავშირებს შემსყიდველ ორგანიზაციებსა ან/და მათ ტერიტორიულ ერთეულებს შორის;

ბ) შიდა კავშირებს (VPN, სიმეტრიული ან/და ასიმეტრიული არხები);

გ) გარე კავშირს (გლობალური ან/და ლოკალური ინტერნეტი);

დ) ინტერნეტ ტელეფონს (VoIP).

2. ამ განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს.

პრემიერ-მინისტრი გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა **ივანე მერაბიშვილი**